7
მაისი
რადიოს
დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 87
(7398)

7 1983 წ.
მაისი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ვემზადოთ ყველა!

5 ივნისს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება

ფეხბურთის დღესასწაული

ამ დღეს ერთმანეთს ეჯიბრება:

ქუჩა — ქუჩას
საამქრო — საამქროს
კლასი — კლასს
სკოლა — სკოლას
ქარხანა — ქარხანას
ინსტიტუტი — ინსტიტუტს
რაიონი — რაიონს...

თამაშობს ყველა, ვისაც უყვარს ბურთი, სპორტი, სუფთა ჰაერი, ჯანმრთელობა და სიცოცხლე!

აქედანვე დავიჭიროთ თადარიგი, რათა ფეხბურთის დღე რესპუბლიკაში ვაქციოთ სპორტისა და ჯანმრთელობის, მასობრივი ფიზკულტურის ჭეშმარიტ ზეიმად, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად!

მერვე, ტრადიციული

„საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი"

თბილისის ცენტრალური ველოდრომი არაერთხელ ყოფილა დიდი საერთაშორისო შეჯიბრების მასპინძელი. 1976 წლის 6-8 მაისს აქ პირველად გაიმართა „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშება სპრინტში, შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბულგარეთის, გდრ-ის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის 4-4 უძლიერესი მრბოლი.

მას შემდეგ ეს შეჯიბრება შვიდჯერ გაიმართა. აქ გამოდიოდნენ მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერი ველოსიპედისტები, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი ა. ტკაჩი (ჩეხოსლოვაკია), ლ. ჰესლიკი (გდრ), მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულები და პრიზიორები ს. კოპილოვი (სსრ კავშირი), ე. რაში (გდრ), ი. კაარი (საფრანგეთი), მ. ვიმაზალი (ჩეხოსლოვაკია), ე. გელაშვილი (სსრ კავშირი) და სხვები.

სპრინტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ველორბოლაში, თუ მსოფლიო ჩემპიონატები საგზატკეცილო ველორბოლაში ეწყობა 1927 წლიდან, ტრეკზე გამოდევნებით რბოლაში—1946 წლიდან, მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერის წოდება პირველად 1893 წელს ჩიკაგოში გათამაშდა და მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა ამერიკელი ა. ციმერმანი.

მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი სპრინტერია ფრანგი დანიელ მორელონი. მან 7 ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატებზე, ხოლო 2 — მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე.

1965 წელს ესპანეთის ქალაქ სანსებასტიანში ომარ ფხაკაძემ საბჭოთა სპრინტერებიდან პირველმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი,1981 და 1982 წლებში კი ასეთივე წარმატებას მიაღწია შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენმა სერგეი კოპილოვმა. 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა ახალგაზრდა ქართველი სპრინტერი ემზარ გელაშვილი.

წლიულს, „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშებაში, რომელიც 11 და 12 მაისს გაიმართება, იასპარეზებენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მრბოლები, მათ შორის — ლ. ჰესლიკი, დ. უებლი (ორივე — გდრ), პ. მარტინეკი, ვ. შუსტერი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), რ. ვასელოვსკი (პოლონეთი), მ. პეტერი (უნგრეთი), ტ. სტოიჩევი (ბულგარეთი), ს. კოპილოვი, ე. გელაშვილი, ნ. კოვში, რ. პრუგლოვი (ყველა — სსრ კავშირი), აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი სპრინტერები მ. სურმავა, ო. მჭედლიშვილი და სხვები.

შეჯიბრება 15 საათზე დაიწყება.

ძნელი მატჩი ალიკანტეში

„ლელოს" ინტერვიუ

გუშინწინ დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას შეხვდა „ლელოს" კორესპონდენტი, მიულოცა პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ტ. ლემაჩკოსთან გამარჯვება და სთხოვა მოეთხრო გარდასული ბრძოლის პერიპეტიების შესახებ.

გთავაზობთ ნანა ალექსანდრიას ნაამბობს.

— ჭადრაკის ესპანელი მესვეურები საუცხოოდ მოემზადნენ პრეტენდენტთა მასპინძლობისთვის. ორივე მატჩი, ჩვენი და ტორე-რიბლის შეხვედრა, „მელიას" ფირმის სასტუმროს ერთ-ერთ მოზრდილ დარბაზში მიმდინარეობდა. მოჭადრაკეები, სეკუნდანტები და ჟურნალისტები ამავე სასტუმროში ვცხოვრობდით. საზეიმო გახსნას დაესწრო ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი, ესპანელი ტორანი.

თავიდანვე უშუალო, კეთილმა ატმოსფერომ დაისადგურა. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვოდა ორივე მატჩის მთავარ მსაჯს, ცნობილ ესპანელ საერთაშორისო ოსტატ არტურო მედინას. სხვათა შორის, მას იცნობენ თბილისელები. შარშან სეკუნდანტად ახლდა ესპანელ მოჭადრაკე ქალს გარსიას თბილისის საზონათშორისო ტურნირზე.

მაყურებელიც საკმაოდ გვყავდა. დარბაზში, სადაც ვთამაშობდით, მხოლოდ ოთხი რიგი იყო. აქ შეიძლებოდა მსხდარიყვნენ მხოლოდ სეკუნდანტები და ჟურნალისტები. დიდ ჰოლში კი, რომელსაც ჩვენი დარბაზიდან მინის ვეება ტიხარი ჰყოფდა, იკრიბებოდნენ გულშემატკივრები. აქ მათთვის სადემონსტრაციო დაფები იყო დადგმული.

თამაშს ვიწყებდით დღის ოთხ, თბილისის დროით საღამოს შვიდ საათზე.

სპორტული ბრძოლა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. პირველი პარტიის წაგება, რა თქმა უნდა, არ მეჭაშნიკა. მაგრამ გული არ გამიტეხია და, როგორც იცით, ზედიზედ სამი პარტია მოვიგე. კარგად ვთამაშობდი, საკუთარ ძალასაც ვგრძნობდი. როცა ანგარიში 4,5:1,5 გახდა და მატჩის მოსაგებად ქულალა მჭირდებოდა, თვითონაც არ ვიცი რა დამემართა. ვერ ამიხსნია, რატომ გამიჭირდა თამაში, რატომღაც ვნერვიულობდი. ჩემი ბიჭუნას გიგას დაბადების დღეს მერვე პარტიას ვთამაშობდი. მისი გახარება მინდოდა. ვითამაშე დიდი მონდომებით და მოსაგები პოზიციაც მივიღე. თამაშის დრო იწურებოდა. ნაცვლად იმისა, რომ პარტია გადამედო და შინ გულდამშვიდებულად გამეანალიზებინა იგი, გადავწყვიტე დაუყოვნებლივ მომეგო. ავჩქარდი, არაზუსტად ვითამაშე და მოგება ხელიდან გავუშვი. ამ ამბავმა ამაღელვა და „ტაიმ-აუტი" ავიღე. ჩანს, მღელვარება ვერ დავძლიე — მეცხრე პარტიაში იმდენად ცუდად ვთამაშობდი, ვერც შევამჩნიე ფიგურას რომ ვკარგავდი.

მეათე პარტიის თამაშისას დიდხანს კარგი პოზიცია მქონდა, მაგრამ პარტიის გადადების წინ, 39-ე სვლაზე შევცდი და ინიციატივას ლემაჩკო დაეუფლა. მეორე დღეს დიდი შრომა და მოთმინება დამჭირდა პარტიის გადასარჩენად, ყაიმის მისაღებად.

ტატიანა ლემაჩკო საუცხოოდ მომზადებული ჩამოვიდა ალიკანტეში. მანამდე იგი ვაჟთა სამ ტურნირში მონაწილეობდა და ორში წარმატებასაც მიაღწია. საერთოდ, ლემაჩკო იმპულსური სტილის დიდოსტატია. ეს იმას ნიშნავს, რამდენიმე კარგ სვლას რომ გააკეთებს, მერე ნაჩქარევად, ზერელედ თამაშობს. ამ სტილს უნდა შეეჩვიო. იქნებ ლემაჩკოს თამაშის ამ თავისებურებამაც შემიშალა ხელი ფინიშზე.

ჩემი უკეთესი სადებიუტო მომზადება სტარტზე იგრძნობოდა, ლემაჩკომ თანდათან უვნებელყო ეს უპირატესობა, თუმცა მთლიანად მაინც ვერ მოახერხა.

ალიკანტეში სეკუნდანტებად მახლდნენ დიდოსტატი აივარ გიპსლისი და მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი მარკ დვორეცკი. მათი მადლობელი ვარ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა აგრეთვე ჩემს მუდმივ მწვრთნელს თბილისელ ოსტატ დავით ჯანოევს, რომელმაც მოსამზადებელ პერიოდში ძალიან დიდი დახმარება აღმომიჩინა. რა თქმა უნდა, გონივრულმა მომზადებამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

ჩემი პარტიებიდან მომწონს მეოთხე და მეექვსე. მეათე პარტიაც კარგი იყო, ფინალში რომ არ გამეფუჭებინა იგი.

რა თქმა უნდა, მიხარია ჩემი გულშემატკივრები რომ არ გავაწბილე.

რიბლი—ტორეს მატჩი ულიმღამოდ დაიწყო: ზედიზედ ოთხი უფეროული ყაიმი გაკეთდა. შემდეგ ბრძოლა ძალიან დაიძაბა. ტორეს რამდენიმე კაცი ახლდა, მათ შორის მეუღლეც, ყველანი საშინლად ღელავდნენ. ერთი რამ მიკვირდა: რიბლის სეკუნდანტად ახლდა ნაკლებად ცნობილი ოსტატი ორსო, მაშინ როცა უნგრეთში საკმაოდ ბევრია პირველხარისხოვანი დიდოსტატი. რიბლის გამარჯვება ყველამ დამსახურებულად ჩათვალა.

ალიკანტეში ჩემი ყოფნის დროს გაიმართა ფიდე-ს ბიუროს სხდომა, რომელსაც ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები) დაესწრო, საგანგებოდ ჩამოვიდა საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსი დიდოსტატი ნიკოლოზ კროგიუსი. ბიურომ მიიღო მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი სისტემა, რომელიც ახლა ფიდე-ს კონგრესმა უნდა დაამტკიცოს. როგორც ამიხსნეს, ახალი სისტემით მსოფლიო ჩემპიონს ტიტულის დაცვა მოუწევს ორ წელიწადში ერთხელ. პირველ წელს გამართულ პრეტენდენტთა ტურნირზე პირველი-მეორე ადგილებზე გასულნი ერთმანეთს შეხვდებიან მატჩში, აქ გამარჯვებული შემდეგ წელს შეხვდება ჩემპიონს. თუ რამდენად მისაღებია ეს სისტემა, ალბათ კონგრესზე მსჯელობისას გაირკვევა.

ახლა ჩემი გეგმების შესახებ. ირინე ლევიტინას სახით რომ ძლიერი მეტოქე მყავს, ეს ყველამ იცის. მე ბევრჯერ მითამაშია მასთან. ორჯერ მატჩშიც შევხვედრივარ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩვენი შეხვედრა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში, რომელიც 1975 წელს შედგა. საერთო ჯამში ორი პარტიით მეტი მაქვს მოგებული, თუმცა ბოლო შეხვედრა წელს იაცეს (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირში მისი გამარჯვებით დამთავრდა. ცხადია, დიდი მომზადება დამჭირდება. ძალიან მინდა რომელიმე ძლიერი შემადგენლობის ტურნირში მივიღო მონაწილეობა.

როგორც ჩანს, ხალხთა VIII სპარტაკიადაში მონაწილეობას ვერ მივიღებ — ამ დროს მატჩისთვის მზადებით ვიქნები დაკავებული.

მე და ლევიტინა ალბათ პირველ აგვისტომდე დავიწყებთ ბრძოლას, მაგრამ სად, ჯერ არ ვიცი.

საუბარი ჩაიწერა
თ. გიორგაძემ.

თბილისელი ხუთჭიდელი —
მოლდავეთის სპარტაკიადის ჩემპიონი

კიშინიოვში დამთავრდა მოლდავეთის VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, ბელორუსიის, უკრაინის, ლიტვის, კიშინიოვის „დინამოსა" და საქართველოს ოცდაათმა სპორტსმენმა.

ჩინებულად იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი ვ. ლუცენკო). დაძაბულად და საინტერესოდ ჩატარდა პირადი პირველობა. აქ გაიმარჯვა თბილისის „ბურევესტნიკის" წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ვ. იაგორაშვილმა. სასიამოვნოა, რომ მისი შედეგი (5.556 ქულა) 156 ქულით აღემატება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეჯიბრება უფლებამოსილი არ იყო ვახტანგისათვის მაღალი წოდება მიენიჭებინა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თბილისელმა სპორტსმენმა ხუთი სახეობიდან ორში — დაშნით ფარიკაობასა და ცურვაში გაიმარჯვა. ჩვენს თანამემამულეს გადასცეს მოლდავეთის სპორტკომიტეტის სამახსოვრო მედალი და სამახსოვრო საჩუქარი. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს კიშინიოველმა მ. ტულბურსმა (5.508) და ბაქოელმა ო. კოშელევმა (5.447).

საქართველოს ოთხეულმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატები ვ. იაგორაშვილი, გ. გოგლაძე, გ. გოგუაძე და ა. შირინკინი გუნდურ ჩათვლაში (16,017), მოლდაველების (16.125) შემდეგ, მეორე შედეგი აჩვენა. მესამე ადგილი წილად ხვდათ აზერბაიჯანელებს (15.830).

რ. კაცობაშვილი.

ჭეშმარიტად სპორტული ორთაბრძოლები

ვოლგოგრადში 23 მაისიდან 2 ივნისამდე ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატი კარატეში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების წინაშე, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს შარშან, ტალინის ჩემპიონატზე (გია ბაკურაძემ უძლიერესის სახელი მოიპოვა 75 კგ წონაში), რთული ამოცანა დგას. მათ უნდა შეინარჩუნონ მოპოვებული ავტორიტეტი.

— ახლახან დამთავრებულმა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა გვიჩვენა, — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ზ. მერაბიშვილმა, — რომ მწვრთნელებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სპორტსმენთა ყოველმხრივ მომზადებას. სამწუხაროდ, ბევრი მწვრთნელი მზადების ძირითად პუნქტად მიიჩნევს კუმიტეში (ჭიდაობაში) ვარჯიშს, ამუშავებენ ყრთულეს ილეთებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კატას. ეს მაშინ, როცა საერთოდ აღიარებულია, რომ სწორედ კატაა ძირითადი კარატეში დაოსტატებისთვის. შარშან კატაში გამართულ რესპუბლიკის პირველ პირველობაში მონაწილეობა მიიღო 27 სპორტსმენმა, წლეულს კი სულ 9 ათლეტი გამოვიდა, თანაც ყველამ როდი შეასრულა კატას ზერთული ელემენტები. არადა ქვეყნის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი კარზეა მომდგარი.

რესპუბლიკის პირველი ჩემპიონის წოდება კატაში მოიპოვა შარშანდელი პირველობის გამარჯვებულმა ვ. ჯაფარიძემ, მეორე იყო ვ. ზუხბაია (ორივე — „დინამო", სოხუმი), III ადგილი დაიკავა თბილისელმა დინამოელმა ი. იგნატოვმა. დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე სოხუმელი გოგონების საჩვენებელმა გამოსვლებმა.



კარატეისტთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში თბილისის, სოხუმისა და ქუთაისის 84 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება ათივე წონით კატეგორიაში გაიმართა. სასიამოვნოა, რომ შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ არა შემთხვევითი პიროვნება, არამედ სპორტის ამ სახეობის სპეციალისტი, რაც აშკარად გვაგრძნობინა მსაჯთა კოლეგიის, სააპელაციო ჟიურისა და რეფერების ზუსტმა მუშაობამ. აღსანიშნავია, რომ კარატეისტი არატექნიკური ორთაბრძოლის, მომზადების არასაკმაო დონის და არასპორტული საქციელისთვის იხსნებოდა შეჯიბრებიდან, რაც პირველ რიგში გამორიცხავდა სერიოზულ ტრავმებსა და ხელს უწყობდა წმინდა, ჭეშმარიტად სპორტული, სანახაობრივი თვალსაზრისით საინტერესო ორთაბრძოლების გამართვას.

ქართველ კარატეისტთა შესაძლებლობაზე აზრის გაზიარება ვთხოვეთ სსრ კავშირის კარატეს ფედერაციის წევრს, ქვეყნის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების უფროს მწვრთნელს კარატეში ვ. ივანოვს.

— თქვენი რესპუბლიკის ჩემპიონატს პირველად დავესწარი, თუმცა, ქართველი სპორტსმენების ასპარეზობისთვის ხშირად მიდევნებია თვალი საკავშირო შეჯიბრებებზე. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ თქვენ გყავთ სპორტსმენები, რომლებიც ახლაც ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ ბალტიისპირეთისა და რსფსრ-ის უძლიერეს კარატეისტებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში კარატეს განვითარების დონე საერთოდ ჯერ კიდევ დაბალია და არცთუ მოკლე დრო-ში მოგვიწევს საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლა. პირადი გამოცდილებით ქართველ კარატეისტებს ვურჩევ ხშირად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებაში, მწვრთნელები და მსაჯები გაეცნონ სხვათა გამოცდილებას. თქვენს რესპუბლიკას ჰყავს კვალიფიციური მწვრთნელები, გამოცდილი მსაჯები, პერსპექტიული ტექნიკური სპორტსმენები, ასე რომ, გისურვებთ წარმატებას.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 6 კოლექტივი, - „დინამო-I" (რომელშიც გაერთიანებული იყო თბილისისა და ქუთაისის სექციები), „დინამო-2" (სოხუმი), „სპარტაკი", „ბურევესტნიკი", ასკ და „კოლმეურნე". I ადგილზე გავიდა „დინამო-I" (მწვრთნელი გ. ბარაბაძე), მას ქულით ჩამორჩა „სპარტაკი" (ზ. ლექავა), „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები (ფ. ბრეგვაძე) III ადგილზე გავიდნენ.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: **50 კგ.** ლ. მდივნიშვილი („ბურევესტნიკი"), რ. ცარუკიანი („კოლმეურნე"), დ. ბიძაია („დინამო-I"); **55 კგ.** დ. გიორგანაშვილი („სპარტაკი"), ი. დემურჩიევი („დინამო-I"), თ. ბუთხუზი („კოლმეურნე"); **60 კგ.** ქ. კიკალიშვილი („დინამო-I"), ვ. ზუხბაია („დინამო-II"), მ. სომხიშვილი („დინამო-I"); **65 კგ.** ვ. ჩაუსოვი, დ. ხუციშვილი (ორივე — „დინამო-I"), მ. კიკვაძე („სპარტაკი"); **70 კგ.** ო. გელაძე, ს. ჯავახაძე (ორივე—„დინამო-I"), ქ. გველესიანი (ასკ); **75 კგ.** გ. ბაკურაძე („სპარტაკი"), მ. ხუროშვილი, ბ. ხუციშვილი (ორივე — „დინამო-I"); **80 კგ.** ა. შენგელია („დინამო-I"), ქ. ქუთათელაძე („სპარტაკი"), დ. ლაბაძე („ბურევესტნიკი"); **85 კგ.** ნ. ცომაია („სპარტაკი"), დ. მოდებაძე („დინამო-I"), ზ. ბროძელი (ასკ); **85 კგ-ზე ზევით.** ზ. ხუროძე („სპარტაკი"), დ. კაპანაძე („დინამო-I"), ნ. კაიშაური (ასკ). **აბსოლუტური წონა.** გ. ბაკურაძე, ა. შენგელია, ნ. კაიშაური.

ა. ზენკო.

* * *

სურათებზე: ვ. ჯაფარიძე, ლ. მდივნიშვილი, დ. გიორგანაშვილი, ქ. კიკალიშვილი, ვ. ჩაუსოვი, ო. გელაძე, გ. ბაკურაძე, ა. შენგელია, ნ. ცომაია, ზ. ხუროძე; ფინალური შეხვედრა გ. ბაკურაძესა და ა. შენგელიას შორის.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

ნ. დედად წოდების ღირსი!

> **„ფიზიკურ გამაგრებაში არის ბედნიერება თქვენი შვილისა, საუკეთესო სიმდიდრე და განძი, და ამ ხალ ტანში სულიერი მხარეც შესაფერისად გალვივდება".**
>
> **ჟურნ. „განათლება", 1916 წ., № 1, გვ. 48**

„ქალი — დიდებული სიტყვაა; მასში ქალწულის უბიწოება, საყვარელი ქალის თავგანწირვა, დედის გმირობაა განსახიერებული", — ნ. ნეკრასოვის ამ სიტყვებს, პროგრესულად მოაზროვნე სხვა რუსი მოღვაწეების აზრებს კარგად იცნობდა რევოლუციამდელი პერიოდის ქართული საზოგადოებრიობა.

იმ პერიოდის პრესის მასალებში ბავშვთა აღზრდისა და კერძოდ, ფიზიკური აღზრდის მთავარ მასულდგმულებელ ძალად ოჯახი, დედაა მიჩნეული. ჩვენს მოწინავე მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ სამდურავი ქართველი დედების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ხშირად ყურადღებას არ აქცევენ ბავშვების ფიზიკურ აღზრდას და ავიწყდებათ უბრალო ჭეშმარიტება: „ყმაწვილს თუ ეხსნება მხოლოდ გონება, ფიზიკური მხარე კი რჩება გაუხსნელი, მაშინ ამგვარი აღზრდა იქნება მავნებელი და უსარგებლო მისთვისაც და საზოგადოებისათვისაც" („დროება", 1870, № 8).

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ მოღვაწეთა მსგავს შეგონებებში წინა პლანზე როდია წამოწეული ბავშვთა ფიზიკური აღზრდა, პირიქით, ხშირად მოისმის მოწოდება მშობლებისადმი, რომ მთელი დღე ბავშვის ბედის ანაბარა მიტოვებით და „ალმა-დალმა ხეტიალით" იზრდება „საუკეთესო შვილის მაგიერ ფუქსავატი და ჩიტირეკია ახალგაზრდა, რომელიც თავის სიცოცხლით სავსე სიჭაბუკეს ქაღალდის თამაშობასა და ნადირობაში ატარებს" („ივერია", 1892, № 250).

იმ დროისთვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ ბავშვთა აქტიური ჩაბმა თამაშებში და მისი სწორი წარმართვა. „თამაშობას,— ასწავლიდა მშობლებს ცნობილი მოღვაწე ი. ნათაძე („სასოფლო გაზეთი", 1871, № 24), — ცელქობას მხოლოდ მაშინ აქვს კარგი შედეგები, როდესაც ისინი გონივრულად არჩეულები არიან. დედას უჭირავს ამ შემთხვევაში პირველი ადგილი". სამი წლის შემდეგ თითქმის იმასვე წერდა გაზეთი „დროება": „ყმაწვილებს უყვართ ჩხირკედელაობა, აი ამით უნდა ისარგებლოს აღმზრდელმა და მასწავლებელმა და ამ ჩხირკედელაობას იმგვარი მიმართულება მისცეს, რომ ბავშვის გონება ყოველ მხრივ იხსნებოდეს; ყმაწვილს უყვარს ხტომა და თამაში, — აი ესეც უნდა გახდეს იმის განათლების ელემენტად".

რევოლუციამდელ პრესაში მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს, საყვედურობდნენ იმისათვის, რისთვისაც დღეს საყვედურობენ. ესაა სამდურავი იმასთან დაკავშირებით, რომ დედები ნაკლებად არიან ჩაბმულნი აქტიურ ფიზკულტურულ საქმიანობაში, არ გააჩნიათ კარგი ფიზიკური განვითარება და ამით შთამომავლობის ფიზიკურ სრულყოფაზეც ახდენენ გავლენას. „ღმერთს დაუწესებია, —წერს ალ. მირიანაშვილი („დროება", -1885, № 61), — რომ კაცს უნდა ჰქონდეს მთელი თავი, მთელი თვალი, და მთელი ხელი და თუ ვინიცობაა ჩვენს შვილს რაიმე მანკი სნეულება დაჰყვა დედის მუცლიდამ, უეჭველად პასუხისმგებელი ჩვენა ვართ, ან ჩვენი წინაპრები. ბავშვის სიმრთელეზედ და საზოგადოდ ბედნიერებაზედ მშობელმა უნდა იზრუნოს არამც თუ მისი შობის შემდეგ, არამედ ჯვარისწერის წინადვეც კი. მშობლის ფიზიკურს, გონებითს და ზნეობითს განვითარებაზედ და მდგომარეობაზედ არის დამოკიდებული შვილის სიცოცხლის ავ-კარგიანობა. მაშასადამე, თუ მშობელი წინადვე მოიწადინებს, შეუძლიან თუ სრულიად არა, ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს მოსალოდნელი სატანჯველი". იგივე საკითხზე მაშინდელი პრესა ხშირად ამახვილებდა ყურადღებას. „თუ დედ-მამა ტანმრთელი და უნაკლო ადამიანები არიან, მაშინ უმეტესად საღი და უნაკლო შვილები ეყოლებათ", თუ მშობლები ქორწინებამდე არ აქცევდნენ ყურადღებას საკუთარ ფიზიკურ განვითარებას, ამით ისინი დანაშაულს სჩადიან „თავიანთ შვილების და შთამომავლობის წინაშე" („ნობათი", 1884, № 2), „რადგან ქალაქელი ქალები სოფლელ ქალებზედ უფრო დამასუსტებელ შექცევებში ატარებენ დროს, ამისათვის ხშირად ვხედავთ, რომ ქალაქელ ქალებს უფრო სუსტი აგებულების შვილები ებადებათ, ვიდრე სოფლელ ქალებს. ...განა გასაკიცხი არ არის ის დედა, რომელიც დაუდევრობის და უზრუნველობის გამო სხვადასხვა შექცევებში ატარებს დროს და ამით სამუდამოდ ჰღუპავს თავის შვილების სიმრთელეს და ბედნიერებას" („მნათობი", 1870, № 1, გვ. 22).

სხვათა შორის, ამასვე ასაბუთებდა ცნობილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ა. რადიშჩევი, რომელიც თავის წიგნში „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს" კიცხავს ისეთ მშობლებს, რომლებმაც არ იზრუნეს საკუთარი ფიზიკური სრულყოფისათვის, იტანჯებიან ფიზიკური სისუსტის გამო და აქედან გამომდინარე, უკვე გაწირეს საბრალო შთამომავლობა. ასეთი აზრების გაბატონებას ისიც უწყობდა ხელს, რომ გასულ საუკუნეში გამეფებული აღზრდის ე. წ. ნატივისტური თეორია მთავარ როლს მემკვიდრეობას ანიჭებდა და მინიმუმამდე ამცირებდა აღზრდაში გარემოს როლს. უნდა შევნიშნოთ, რომ მართალია, ჩვენი მოღვაწეები ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ უფრო მუქ ფერში წარმოედგინათ შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ არასდროს არ ავიწყდებოდათ, რომ ყმაწვილის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გარემოში იზრდება იგი: „რასაკვირველია, — ვკითხულობთ 1871 წლის „ცისკრის" მე-3 ნომერში, — უბრალო კაცისაგან მასწავლებელს ვერ შეუძლიან შეადგინოს, ანუ აღზარდოს ღერკულესი, მაგრამ ეს კი შეუძლიან, რომ სუსტი ბუნებით, მოძრაობით გამოიყვანოს ღონიერი. რამდენი მაგალითი ვიცით, ბუნებით მაგარი და ღონიერი ყმაწვილი, შენახული მშობლებისგან დაკეტილში... ამ სიფრთხილით წამხდარა, მძინარა შექმნილა, ზანტი, სუსტი, ზარმაცი და უგონო". უფრო გვიან ჟურნალ „განათლებაში" (1914, №2) ექიმი ბადრიძე სვამდა კითხვას: „შესაძლოა ბრძოლა, გასწორება და შველა იმ არსებისა, რომელიც მანკიერი შთამომავლობისაა თუ არა?" ავტორი პასუხობს, რომ სწორი აღზრდით ეს შესაძლებელია. იგი აკრიტიკებს ლომბროზოს, ვოლტერსა და სხვებს, ამასთან იშველიებს რუსოსა და დარვინს და ამტკიცებს, რომ „აღზრდა ასწორებს ადამიანის ბუნებას და იმორჩილებს მას".

ქართველი მოღვაწენი ცდილობდნენ დედებისთვის ბავშვთა აღზრდის სწორი გზები, მეთოდები, საშუალებები ესწავლებინათ, პირველ რიგში ისინი მიუთითებდნენ, რომ მშობლები და პედაგოგები კარგად უნდა ერკვეოდნენ პედაგოგიკაში, რომელიც გვასწავლის: „თუ რა რიგათ უნდა გაზრდა ყმაწვილს, ან რა თვისებების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოეპყრა ყმაწვილს, ან რა გარემოებაში უნდა ჩადგეს ყმაწვილი, რომ იმას შეეთვისოს მაღალი ზნე და მაგარი აგებულება" („დროება", 1866, № 26), მათ უნდა შეისწავლონ პედაგოგიკის მონათესავე მეცნიერებანი, „ის ნაწილები გიგიენისა, მედიცინისა და ფიზიოლოღიისა, რომელნიც გვასწავლიან ჩვენ ჯან-მრთელობის შენარჩუნებას" („დროება", 1879, № 48), მხოლოდ ასეთი ცოდნით შეიარაღებულ აღმზრდელებს ეცოდინებათ „როგორ და რა საშუალებებით შეიძლება, ერთის მხრით სხეულისა და მისი ფიზიკური ძალების გახსნა და გავარჯიშება, მეორე მხრით, სულისა და მისი ნიჭიერების აღზრდა და განვითარება" („ნობათი," 1884, №2).

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში დედის როლის ამგვარად წარმოჩენას დღესაც შეუძლია კეთილი სამსახური გაგვიწიოს.

ა. ციბაძე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 39, 48, 57, 67, 73.

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 0:0.

გააფრთხილეს კიეველი ბუიგანოვი და მინსკელები გოცმანოვი და პუდიშევი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, გ. სეფიაშვილი, უ. ფურცელაძე (ყველანი — თბილისიდან).

დუბლიორები — 1:2.

„დნეპრი“ — „არარატი“ 4:0 (2:0). პირველ ტაიმში პავლოვმა (პენალტით) და პოგორელოვმა 2 გოლი გაიტანეს ერევნელთა კარში. შემდეგ „არარატის“ მცველმა სააკიანმა საუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ხოლო ბოლო წუთებზე უსტიმჩიკმა ანგარიში აიყვანა 4:0-მდე.

დუბლიორები — 0:1.

ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:0.

დუბლიორები — 0:0.

„ჟალგირისი“ — „მეტალისტი“ 3:2 (1:0). ვილნიუსელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა იაკუბაუსკასმა 3 ბურთი გაიტანა „მეტალისტის“ კარში. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს ტარასოვმა და ლინკემ.

დუბლიორები — 2:2.

„ნისტრუ“ — „ნეფთჩი“ 0:1 (0:1). ბურთი გაიტანა ბაქოელმა შიხლაროვმა.

დუბლიორები — 5:3.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ფახთაქორი“ 0:0.

გააფრთხილეს მოსკოველი ა. ნოვიკოვი.

დუბლიორები — 1:0.

„სპარტაკი“ — „ზენიტი“ 3:0 (1:0). ლენინგრადელთა კარში ბურთები გაიტანეს გლადილინმა, გავრილოვმა და გესმა.

დუბლიორები — 4:4.

• • •

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ— 1:1.

• • •

გათამაშების ცხრილი
დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 6 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	7	6	1	0	10—1	13
„დინამო“ კ.	7	6	0	1	21—5	12
„დინამო“ მნ.	8	5	1	2	18—11	11
„არარატი“	8	5	0	3	10—14	10
„დინამო“ თბ.	8	4	2	2	8—5	10
„ჩერნომორ.“	7	4	1	2	12—8	9
„სპარტაკი“	7	4	1	2	16—13	9
ცსკა	7	3	3	1	11—6	9
„დნეპრი“	8	3	2	3	12—8	8
„მეტალისტი“	7	3	2	2	12—10	8
„ფახთაქორი“	8	3	2	3	11—13	8
„ზენიტი“	8	3	1	4	11—14	7
„ჟალგირისი“	8	2	1	5	12—16	5
„ნეფთჩი“	8	2	1	5	10—16	5
„შახტიორი“	8	2	0	6	7—8	4
„ნისტრუ“	7	1	1	5	8—14	3
„ტორპედო“ მ.	7	1	1	5	4—14	3
„ტორპედო“ ქ.	8	1	0	7	5—22	2

●

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დღეს უნდა გამართულიყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე.

მატჩი გადატანილია გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე (26 კომისრის სახ. რაიონი). თამაში დაიწყება 18 საათზე.

დღის წესრიგშია მსაჯობის გაუმჯობესება

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

ამ დღეებში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა უმაღლეს ლიგაში მსაჯობის საკითხები, ყურადღება გამახვილდა იმ მნიშვნელოვან ხარვეზებზე, რაც ხელს უშლის ჩვენში საკავშირო ჩემპიონატის მატჩების მაღალ დონეზე ჩატარებას. მოხსენებით გამოვიდა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარე ნ. ლატიშევი.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრათა მსაჯობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. არბიტრებმა ვ. ბასკაკოვმა, გ. გალიკოვმა და მ. კობიაშვილმა დაუშვეს უხეში შეცდომები, რამაც გავლენა მოახდინა თამაშის შედეგზე, ამიტომ ისინი პირველი წრის დასასრულამდე ველარ იმსაჯებენ მატჩებს. უხეში შეცდომებით იმსაჯა ა. ბოგომაზოვმა მოსკოვის „სპარტაკისა“ და ტაშკენტის „ფახთაქორის“ შეხვედრა, ამიტომ იგი დისკვალიფიცირებულია წლის ბოლომდე. ამას გარდა მეთოდური ხასიათის მნიშვნელოვანი შეცდომები ჰქონდათ ისეთ ცნობილ მსაჯებს, როგორებიც არიან ე. აზიმ-ზადე, ი. სერგიენკო, მ. სტუპარი, რ. იუშკა, ვ. ჟუკი.

მომხსენებელმაც და კამათში გამოსულებმაც აღნიშნეს, რომ ჩვენი მსაჯები რიგიანად ვერ მოემზადნენ სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის მატჩებისთვის, მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ შეასუსტა მომთხოვნელობა არბიტრთა მიმართ, ამიტომ ფედერაციის პრეზიდიუმმა მოითხოვა საფუძვლიანად გადაისინჯოს მსაჯთა სია, გაიზარდოს მომთხოვნელობა თითოეული მათგანის მიმართ.

ცნობილია, რომ მსაჯების დანიშვნა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის მატჩებისთვის წარმოებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეშვეობით, მაგრამ მანქანას არ შეუძლია გაითვალისწინოს თუ რა ფორმაში იმყოფება არბიტრი ამა თუ იმ მატჩის წინ, როგორია მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ამიტომ არბიტრის დანიშვნის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში უნდა ჩაერიოს თვით მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მსაჯთა ბრიგადების დაკომპლექტებას.

აღინიშნა ისიც, რომ უმაღლეს ლიგას ახლა ემსახურება 29 არბიტრი. თითოეულ მათგანს თვეში საშუალოდ უწევს 2 მატჩის მსაჯობა, ეს კი ერთობ ცოტაა. არბიტრები მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ შესაფერის სპორტულ ფორმაში, მათგან საუკეთესოებს, უდავოდ, მეტი პრაქტიკა ესაჭიროებათ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა საგანგებოდ გააფრთხილა უმაღლესი ლიგის გუნდების უფროსი მწვრთნელები, რომ ისინი პირადად არიან პასუხისმგებელნი პროტესტის შეტანის შემთხვევებში.

მსაჯთა საკავშირო კოლეგიას წინადადება მიეცა მოაწყოს საუკეთესო არბიტრთა შეხვედრები ოსტატთა გუნდებთან, გააცნოს ფეხბურთელები მსაჯთა საქმიანობას, მოაწყოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მსაჯობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 2:1 (0:0).

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 4 მაისი.

„გურია“: მესხია, ცნობილაძე, გოგოხია, ხურცილავა, ლომინაძე, ებანოიძე, გილიგაშვილი, ცხოვრებაშვილი, ჩხაიძე, მხატვარი (კიკნაძე), აკოფიანი.

„ზვეზდა“: ფილატოვი, აივაზიანი, ენსი, კოვშოვი, ლობოვი, ბაკანოვი, მედიანსკი (ბეკბულაევი), მოხოროვი (ფამუზოვი), უბაიდულაევი, კუხლევსკი, პოვალიაევი.

მსაჯი ი. ლაინო (ტალინი).

„ზვეზდა“ ამ ტურამდე ქულით უსწრებდა „გურიას“, ამიტომ მასპინძლებს ყველაფერთან ერთად ის კონკრეტული ამოცანაც ჰქონდათ დასახული, რომ მოეგოთ მატჩი და უშუალო კონკურენტისთვის გაესწროთ. მასპინძლები მთელი ტაიმის განმავლობაში უტევდნენ, რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან, ბურთის გატანა შეეძლოთ აკოფიანს, ჩხაიძეს, ცხოვრებაშვილს, მაგრამ 45 წუთმა ისე განვლო, ანგარიში არ გახსნილა. იყო მომენტი, როცა კარგი შესაძლებლობა შეექმნა ბაკანოვსაც, მაგრამ ზუსტად ვერც მან ითამაშა.

შესვენების შემდეგ ლანჩხუთელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიშები, მოწინააღმდეგის ნახევარზე გადადიოდნენ დაცვითი ხაზების მოთამაშეებიც, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩხაიძე, რომელმაც 56-ე წუთზე პირველი ბურთიც გაიტანა — 1:0. ამის შემდეგ ლანჩხუთელებმა მოუკლეს თამაშის ტემპს, ნაადრევად შეუდგნენ ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას შუა მინდორზე და ფარემუზოვმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ დროში „გურია“ თითქმის განუწყვეტლივ უტევდა და უკვე მაშინ, როცა საფინალო სასტვენამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა, სტუმრების კართან დაინიშნა კუთხური. ებანოიძემ კარგად შეარჩია ადგილი და გ ამარჯვებული გოლიც გაიტანა — 2:1.

ა. ორმოცაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

I ლიგაში 4 და 5 მაისს გამართულ სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „დაუგავა“ (რიგა) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) 1:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:1, „დინამო“ (კიროვი)— „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:3, ასკ (ხაბაროვსკი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 3:0, ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:0.

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქაირათი“	6	5	1	0	12—3	11
„ზარია“	7	4	2	1	13—4	10
„კოლოსი“	7	3	3	1	11—6	9
ასკ რ.	6	4	0	2	7—3	8
„როტორი“	7	4	0	3	8—7	8
ასკ-„კარპ.“	6	3	2	1	5—2	8
„მეტალურგი“	7	2	4	1	11—7	8
„კუზბასი“	7	3	1	3	10—8	7
„ფაკელი“.	7	3	1	3	4—5	7
„ყუბანი“	7	3	1	3	6—9	7
„გურია“	6	3	0	3	4—8	6
„ტავრია“	6	2	2	2	14—12	6
ასკ ხ.	6	2	2	2	4—3	6
„დნეპრი“	6	2	2	2	7—11	6
დაუგავა“	6	2	1	3	11—10	5
„ზვეზდა“	7	2	1	4	6—9	5
„ლოკომოტივი“	7	2	1	4	3—6	5
„დინამო“	7	1	3	3	6—8	5
„პამირი“	7	1	3	3	3—6	5
„შინიკი“	7	1	3	3	5—11	5
„ტექსტილშ.“	7	1	2	4	8—19	4
„ისკრა“	5	1	1	3	7—8	3

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ოლიმპიური მატჩები

კოპენჰაგენში გაიმართა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი დანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა გდრ-ის ნაკრებმა.

ჰელსინკში ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და პოლონეთის ოლიმპიელი ფეხბურთელები. მატჩი მოიგეს პოლონელებმა — 4:0.

„ანდერლეხტი“—„ბენფიკა“ 1:0

4 მაისს ბრიუსელში გაიმართა უეფა-ს თასის პირველი ფინალური მატჩი ბელგიის „ანდერლეხტსა“ (ბრიუსელი) და პორტუგალიის „ბენფიკას“ (ლისაბონი) შორის.

მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულად და დამთავრდა „ანდერლეხტის“ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 30-ე წუთზე ბროლმა გაიტანა ვერკოტერნის გადაცემის შემდეგ. მასპინძლებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, ლისაბონელი ფეხბურთელები კი დაუფარავად უხეშობდნენ, რისთვისაც ბულგარელმა მსაჯმა დოჩევმა მინდვრიდან გააძევა სილვა.

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი 18 მაისს გაიმართება ლისაბონში.

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები.

29 აპრილი. „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:2, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:3, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ოლიმპია“ (არტაშატი) 1:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:2, „მეშახტე“ (ტყიბული) — „დილა“ (გორი) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:0.

30 აპრილი. „კოლხეთი“ (ფოთი) —„ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0.

2 მაისი. „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:2, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ოლიმპია“ (არტაშატი) 1:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 4:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „დილა“ (გორი) 3:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:0.

II ლიგა

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 7 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხოზჩი“	4	3	0	1	10—4	6
„მერცხალი“	4	3	0	1	5—1	6
„კოტაიკი“	4	2	2	0	6—4	6
„კოლხეთი“	4	2	2	0	3—1	6
„ლოკომოტ.“	4	2	1	1	5—2	5
„დინამო“ ბ.	4	2	1	1	3—1	5
„მეშახტე“	4	1	2	1	7—5	4
„ყარაბახი“	3	1	1	1	4—3	3
„არაზი“	3	1	1	1	1—1	3
„ხაზარი“	3	1	1	1	3—6	3
„დინამო“ ს.	4	1	1	2	2—5	3
„შირაკი“	3	1	0	2	3—6	2
„ოლიმპია“	4	0	2	2	3—5	2
„ავტომობილ.“	3	0	2	1	3—5	2
„დილა“	3	0	2	1	2—5	2
„სპარტაკი“	3	0	1	2	2—4	1
„ქიაფაზი“	3	0	1	2	2—6	1

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 7 მაისი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „სპარტაკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). დასაწყისი 18 ს. **8 მაისი.** ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი). 18 ს.**

სახელოვან იუბილეს ეძღვნება

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დაიწყო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ (წილისყრით): დიდოსტატები ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), ბ. გურგენიძე, საერთაშორისო ოსტატი ზ. სტურუა, ოსტატი გ. გიორგაძე, დიდოსტატი ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი, ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი, დიდოსტატები თ. გიორგაძე, ე. გელერი (მოსკოვის ოლქი).

ტურნირი, რომლის მთავარი არბიტრია საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. კუჭავა, 21 მაისამდე გასტანს.

● ჭადრაკი

ოთხ ქალაქში

5 მაისს პეკინში ჩავიდნენ ნინო გურიელი და იური ბალაშოვი, საბჭოთა დიდოსტატები, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მიიწვია.

საჩვენებელ პარტიებს გამართავენ პეკინში, ხანჯოუში, შანხაისა და ნანკინში. ისინი შეხვდებიან ამ ქალაქების უძლიერეს მოჭადრაკეებს, მათ შორის პრეტენდენტთა ამასწინანდელი მეოთხედფინალური მატჩის მონაწილეს, პირველ ჩინელ დიდოსტატს ლიუ შილანს. სტუმრები ჩაატარებენ აგრეთვე ერთდროული თამაშის სეანსებს.

ბურევესტნიკელთა ჩემპიონატი

4 მაისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ქალთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც 14 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა.

ლიდერობა სტარტიდანვე ხელთ იგდეს ოსტატობის კანდიდატებმა — თბილისის 57-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ქეთევან მარდალეიშვილმა და სპი-ის II კურსის სტუდენტმა ლია სადუნიშვილმა, მაგრამ გამარჯვებული მხოლოდ ბოლო ტურმა დაასახელა. გაიმარჯვა ლ. სადუნიშვილმა და 10 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა. 9,5 ქულით II ადგილზეა ქ. მარდალეიშვილი, III — სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელი, ოსტატობის კანდიდატი ირმა აბზიანიძე (9 ქულა).

ლ. სადუნიშვილმა მოიპოვა „ბურევესტნიკის“ გოგონათა საკავშირო პირველობის საგზური (ბელცი, 1-20 ივლისი).

გ. ცქიტიშვილი.

თბილისის სპარტაკიადა
VIII

ჭირვეულ ამინდში

დედაქალაქის ექვსი საზოგადოების სპორტსმენებმა „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაამთავრეს თბილისის VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშვილდოსნობაში. ყველა საზოგადოებას სტარტზე უნდა გამოეყვანა 48 მშვილდოსანი, სროლის ხაზზე კი მხოლოდ 36 ვიხილეთ. ასპარეზობაში არასრული გუნდებით ჩაებნენ „კოლმეურნე“ და „ლოკომოტივი“. ჩათვლა თავიანთ კოლექტივებს მისცა 13 მონაწილემ, მათ შორის 8 ვაჟმა და 5-მა ქალმა. ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ნორმატივები გაიმეორდა: სპორტის ოსტატისა — 1, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა — 4 და პირველი თანრიგისა — 8. ჩათვლაში კი შედიოდა მ-2 ვარჯიშის პირველი თანრიგის მოთხოვნა — 1.850 ქულა.

რა თქმა უნდა, შედეგებზე უარყოფითი გავლენა იქონია გაზაფხულის ჭირვეულმა ამინდმა. პირველ დღეს, როდესაც მშვილდოსნები გრძელ დისტანციებზე ასპარეზობდნენ, გადაუღებლად წვიმდა. ასეთ პირობებში ლიდერობა ხელთ იგდეს იგორ ლოგინოვმა („შრომითი რეზერვები“) და ლია მაჩაბლიშვილმა („ბურევესტნიკი“), რომლებმაც შესაბამისად 90 და 70 მეტრზე სროლაში 278 და 281 ქულა მოაგროვეს. მათ შეჯიბრების დამთავრებამდე ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა და დამსახურებულად მოიპოვეს სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულები. იგორის საბოლოო შედეგია 2.318 ქულა, ხოლო ლიასი — 2.207. აღსანიშნავია, რომ იგორი ერთადერთი სპორტსმენია, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივს მ-2 ვარჯიშში 38 ქულით გადააჭარბა, რისთვისაც წამახალისებელი 25 ქულა დაემატა. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ბურევესტნიკელი სპორტის ოსტატი შ. წიბლიაშვილი (2.173) და რკინიგზელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. რეშიტოვი (2.155).

ქალებში მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს სპორტის ოსტატობის კანდიდატმა რ. მოდებაძემ („შრომითი რეზერვები“, 2.024 ქულა) და სპორტის ოსტატმა ი. გრებენიკოვამ („ბურევესტნიკი“, 1.953 ქულა).

გუნდური ასპარეზობის შედეგები ასეთია:

ვაჟები: „შრომითი რეზერვები“ — 145; „ბურევესტნიკი“ — 106; „ლოკომოტივი“ — 62,5.

ქალები: „ბურევესტნიკი“ — 115; „შრომითი რეზერვები“ -- 112.

კ. რამიშვილი.

„მშვიდობის — 36-ე“

19 ქვეყნის 114 მრბოლი გამოვა მშვიდობის ტრადიციულ 36-ე მრავალდღიან ველორბოლაში, რომელიც 8 მაისს სტარტს აიღებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში და გაგრძელდება მარშრუტით ბერლინი-პრაღა, ამ 1833 კილომეტრიან ტრასაზე ძალას გამოცდიან პოლონეთის, ეგვიპტის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პორტუგალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, გდრ-ის, მონღოლეთის, საფრანგეთის, კუბის, სსრ კავშირის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების უძლიერესი ველოსიპედისტები.

ასპარეზობა დაიწყება პროლოგით, რომელიც რიგრიგი სტარტით ჩაივლის ქალაქში, მეორე დღეს კი რბოლა „გზას დაადგება“ — პირველი ეტაპი იქნება ვარშავა-ოლშტინი. ფინიში 23 მაისს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიმართება.

ჩვეულებისამებრ, რბოლას ტონს მისცემენ ტრადიციული მეტოქე-ფავორიტები — გდრ-ის, ჰოლანდიის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ჩვენმა სპორტსმენებმა ამ ასპარეზობაში პირველად 1954 წელს მიიღეს მონაწილეობა. დებიუტი მე-6 ადგილით აღინიშნა, მომდევნო წლებში ისინი თანდათან უკეთესად ასპარეზობდნენ, 1956 წელს კი პირველობაც იზეიმეს. ხუთი წლის შემდეგ საბჭოთა ველოსიპედისტები უძლიერესნი იყვნენ როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. მაშინ გუნდის წევრმა იური მელიხოვმა ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერის ნარინჯისფერი მაისური. სულ ჩვენმა სპორტსმენებმა 8-ჯერ მოიპოვეს პირადი პირველობა, 16-ჯერ უძლიერესი იყვნენ გუნდურ ჩათვლაში, 1977-1981 წლებში კი ისინი ორივე ჩათვლაში იმარჯვებდნენ, შარშან უპირატესობას გდრ-ის წარმომადგენლები დაეუფლნენ. ახლა ისინი შეეცდებიან შეინარჩუნონ ეს პოზიციები, ჩვენი სპორტსმენები კი, ალბათ გაითვალისწინებენ შარშანდელ შეცდომებს და იბრძოლებენ იმისათვის, რომ უძლიერესის სახელი დაიბრუნონ.

აი, ვინ დაიცავს საბჭოთა ნაკრების ღირსებას მშვიდობის მრავალდღიან ველორბოლაში: როსტოველი ოლიმპიური ჩემპიონი ი. კაშირინი, ტარტუელი რ. სუუნი, რიგელები ი. ფელსი და პ. უგრიუმოვი, ლენინგრადელი ა. კულიკოვი და როვნოელი ო. ჩუჟდა. მათგან მხოლოდ კაშირინი და სუუნი გამოდიოდნენ ამ ასპარეზობაში, დანარჩენები კი დებიუტანტები არიან.

ვიქტორ სანაკოევი

ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ვიქტორ სანაკოევი — ჯან-ღონით სავსე, 23 წლის სამთო მოთხილამურე, რესპუბლიკის ნაკრების უცვლელი წევრი, მისი ლიდერი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

ნიჭიერი მოთხილამურე (განსაკუთრებით უყვარდა გიგანტური სლალომი) შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების მქონე სპორტსმენი იყო. მრავალჯერ უზეიმია გამარჯვება რესპუბლიკის პირველობებზე და ჩემპიონატებში. სიამაყით ატარებდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თუ სოფლის ახალგაზრდებს შორის ქვეყნის ჩემპიონის საპატიო სახელს. ქართული სპორტის გულშემატკივრებს, განსაკუთრებით მისი მშობლიური ბაკურიანის მკვიდრთ გვეამაყებოდა, რომ ვიქტორ სანაკოევი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 1978 წლის ზამთარში, როდესაც კოხტა გორაზე ჭაბუკთა შორის ყველაზე სწრაფად გაიარა სწრაფდაშვების რთული ტრასა...

კრასნოიარსკში, ხალხთა ბოლო (სამწუხაროდ, მისთვის უკანასკნელ) სპარტაკიადაზე „გიგანტში“ მხოლოდ მეთორმეტე შედეგი აჩვენა; სულ ახლახან, ათიოდე დღის წინ კიროვსკში ქვეყნის პირად პირველობაზე კვლავ წარუმატებლად გამოვიდა — ტრასაზე წაიქცა. ძალიან განიცდიდა მაშინაც და ახლაც, თუმცა გულს არ იტეხდა — სჯეროდა საკუთარი თავისა.

ჩვენც გვჯეროდა შენი, ვიქტორ! გვწამდა, რომ შენი თხილამურები ბევრ გამარჯვებას მოგიტანდა უძლიერესებთან ჭიდილში.

საქართველოს სპორტკომიტეტი, ზამთრის სპორტის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭო.

მძლეოსნურ მერიდიანზე

ბერლინი. საუკეთესო სპორტულ ფორმაში ხვდება ზაფხულის ახალ სპორტულ სეზონს მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ილონა სლუპიანეკი. თავის პირველ შეჯიბრებაში, რომელიც წელს გდრ-ის დედაქალაქში გაიმართა, ილონამ ბირთვი 21 მეტრსა და 72 სანტიმეტრზე გაგზავნა. აღსანიშნავია, რომ მისი ბირთვი ექვსივე ცდაში 21-მეტრიან ზღვარს სცილდებოდა.

ფილადელფია. ამერიკის ამ ქალაქში ლეო უილიამსმა (აშშ) 226 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია. მიმდინარე სეზონში ეს შედეგი მსოფლიოში საუკეთესოა.

დე-მოინი. აქ დამთავრებულ აშშ-ს მძლეოსანთა შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზეს სპრინტერებმა. ემეტ კინგმა 100 მეტრი დაფარა 10,15 წამში, კელვინ სმითმა — 10,16 წამში, ჯეფ პატრიკმა 200 მეტრი 20,47 წამში გაირბინა.

ფილადელფია. ამერიკელმა კარლ ლუისმა 100 მ გარბენს 10,09 მოანდომა (მსოფლიოში საუკეთესო დრო სეზონში).

ლაიფციგი. გდრ-ის ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე 22 წლის მარტინა ოპიტცის ბადრო 69,84 მეტრზე გაფრინდა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოს სტადიონებზე.

ლოს-ანჯელესი. აქ ჩატარებულ ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ტონი კემპბელმა 110 მ თარჯრბენში 13,50 აჩვენა, ხოლო ბრაიან ოლდფილდმა ბირთვი 21,01 მეტრზე ჰკრა. ეს სეზონის საუკეთესო შედეგებია მსოფლიოში. (საკდესი).

ოთხი რეკორდი

ორ დღეს მიმდინარეობდა თბილისის VIII სპარტაკიადის შეჯიბრება ძალოსნობაში. ფიცარნაგზე ორმოცდაათამდე ძალოსანი გამოვიდა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა პროფკავშირების გუნდმა (მწვრთნელი გ. ფარულავა), მეორე ადგილზეა „დინამო“ (მწვრთნელი უ. ჭირაქაძე), მესამეზე — „განთიადი“ (მწვრთნელი დ. ხიზამბარელი).

ასპარეზობაზე დამყარებული იყო ოთხი რეკორდი: სპორტის ოსტატმა რ. პატარკაციშვილმა („კოლმეურნე“) ატაცში საშუალო წონის ძალოსნებისათვის 152,5 კილოგრამი აჩვენა. ამავე წონით კატეგორიაში მარნეულელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ჭიტაძემ („კოლმეურნე“) 191 კილოგრამი აჰკრა, ბოლოს კი მძიმეწონოსანმა მარნეულელმა რ. ძიმისტარიშვილმა („კოლმეურნე“,) ჯერ ატაცში გააუმჯობესა რესპუბლიკური მიღწევა — 165,5 კგ, შემდეგ კი აკვრაში დაამყარა ახალი რეკორდი — 205,5 კგ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ:

52 კგ — ს. ალიევი, პროფკავშირების გუნდი 185 (80+105), 56 კგ — ზ. ჯაფარიძე „დინამო“ 192,5 (85+107,5), 60 კგ—მ. სარქისიანი პროფკავშირების გუნდი 225 (100+125), 75 კგ — ს. მერაბოვი „სპარტაკი“ 272,5 (117,5+155), 82,5 კგ — რამინ პატარკაციშვილი „კოლმეურნე“ 325 (152,5+172,5), 90 კგ — რომან პატარკაციშვილი „დინამო“ 315 (142,5+172,5), 100 კგ — რ. ტონოგანიანი პროფკავშირების გუნდი 350 (147,5+202,5), 110 კგ. დ. მიასნიკოვი პროფკავშირების გუნდი 325 (145+180).

რ. ბურგენიძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

11 200 უშეცდომო დარტყმა

„მსოფლიო რეკორდი“ ხანგრძლივ, უშეცდომო ჩოგბურთის თამაშში დაამყარეს შვედებმა: რუდელიუსმა და გილჰორნმა. ისინი 7 საათს თამაშობდნენ, წუთში 27-ჯერ ურტყამდნენ ჩოგანს, სულ 11 200-ჯერ დაარტყეს ისე, რომ ბურთი მიწაზე არ დაცემულა.

[illegible]

დაწინაურდა ვილანდერი

„გრან პრის“ პრეტენდენტთა მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: ვილანდერი (შვეცია) — 839 ქულა, ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 752, გ. მეიერი (აშშ) — 474, ნოა (საფრანგეთი) — 440, მაკნამარა (ავსტრალია) — 425, იუგუერასი (ესპანეთი) — 350 და ა. შ.

პანორამა

● კალათბურთი

სოფიაში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ბულგარეთის დედაქალაქის პრიზზე. ტურნირში მონაწილეობდნენ მოსკოველი კალათბურთელი ვაჟებიც. ბოლო შეხვედრაში მათ მოუგეს სოფიის გუნდს 87:77 და II ადგილი დაიკავეს. გამარჯვებული გამოვიდა ვარშავის ნაკრები, რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატარა ტურნირი, მესამე იყო ბელგრადის ნაკრები.

● ფრენბურთი

ბრაზილიის ქალაქ პორტუალეგრიში მსოფლიოს ექსჩემპიონებმა კუბელმა ფრენბურთელმა ქალებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს ბრაზილიის ნაკრები —3:0.

● მძლეოსნობა

როგორც ბერლინის „იუნგე ველტიუ“ იუწყება, დღეისათვის 126-მა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს მძლეოსანთა მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში, რომელიც აგვისტოში ჰელსინკში გაიმართება.

1987 წლისათვის ამ შეჯიბრების მასპინძლობა სურთ რომს, ლონდონსა და ინდიანაპოლისს (აშშ).

მომავლის ოცნებით...

ნათქვამია, უბედურება უკან დაიხევს, თუ ადამიანი ძლიერი აღმოჩნდებაო. ასეთი ძლიერი აღმოჩნდა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში გერდ ვესიგი, გდრ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი მძიმე ტრავმის შემდეგ კვლავ გამოვიდა ასპარეზზე. მან მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირ-გდრ-ის მრავალჭიდელთა მატჩში, რომელიც ზაპოროჟიეში ჩატარდა. ამ ტურნირის შემდეგ, რომელშიც გერდმა შვიდჭიდის ჯამში ზამთრის სეზონისთვის ქულათა საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია (5416), მას საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა.

● **სამწუხაროდ, ტრავმის გამო მწყობრიდან გამოსულ სიმაღლეზე მხტომელ რეკორდსმენთა სია უსაშველოდ იზრდება...**

— ეს მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. აქ მე შევხვდი ვლადიმერ იაშჩენკოს, რომელთანაც დიდი ხანია ვმეგობრობ. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ მძლეოსნობაზე, სიმაღლეზე ხტომაზე, მე, ისევე როგორც ჩემი, იაშჩენკოს დაბრუნებისაც მჯერა.

მუხლის მძიმე ტრავმამ რამდენიმე თვით მიმაჯაჭვა ლოგინს. ხელახლა ვისწავლე სიარული, შემდეგ სირბილი. ცოტა მოვმაგრდი თუ არა, სტადიონზე მივედი...

● **თქვენ დაბრუნდით გდრ-ის ნაკრებში, მაგრამ მძლეოსნობის სხვა სახეობაში. მრავალჭიდი სამუდამოდ აირჩიეთ თუ დროებით, სანამ საბოლოოდ არ მოგირჩებათ ფეხი?**

— როცა ტრავმის შემდეგ პირველად მივუახლოვდი თამასას და გადახტომა ვცადე, მივხვდი, რომ ჯერჯერობით მაღალ სიმაღლეებს ვერ შევუტევდი. როცა სპორტული ფორმის აღსადგენად დავიწყე ვარჯიში, შევამჩნიე, რომ არცთუ ცუდად გამომდიოდა ტყორცნები, ბირთვის კვრა, თარჯრბენი. მაშინ გამიჩნდა სურვილი ხელი მომეკიდა მრავალჭიდისთვის. ხტომა პრობლემად მრჩებოდა. როცა ასაქნევი ფეხით განვიზრახე გადახტომა — გამომივიდა. ახლა მარჯვენა ფეხით ჩემი პირადი რეკორდი 206 სმ-ია. შარშან შემოდგომაზე პირველად დავძლიე ათივე სახეობა და 8 ათასზე მეტი ქულა მოვაგროვე. უახლოეს დროში, ყოველ შემთხვევაში მომავალ სეზონში მაინც, გადაწყვეტილი მაქვს მრავალჭიდში ვიასპარეზო. ილუზიებს არ ვიქმნი. გდრ-ში ბრწყინვალე მრავალჭიდელები არიან. მათ ძლევას არ ვისახავ მიზნად. მინდა ვიასპარეზო, რათა არ დავკარგო ბრძოლის ჟინი, რათა დავუბრუნდე ხტომას.

● **როგორ ვარჯიშობთ?**

— მთელი დატვირთვით ვასრულებ სპეციალურ და სარბენ ვარჯიშებს. ვტყორცნი, ბირთვს ვკრავ. რაც შეეხება ნატკენ ფეხს, ცოტა ვუფრთხილდები. დიდ ყურადღებას ვაქცევ კროსს, ხტომის ელემენტების დახვეწას.

● **სპორტის გარდა რა გიტაცებთ?**

— ვსწავლობ მშობლიურ შვერინში, სავაჭრო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ეკონომისტი ვიქნები. თავისუფალ დროს მიყვარს კითხვა და ავტომანქანით სეირნობა.

● **თქვენი აზრით, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ვაჟთა სიმაღლეზე ხტომაში როგორი შედეგი იქნება „ოქროსი“?**

— ვფიქრობ, რომ ნაჩვენები იქნება 233-236 სმ. თუ ვინ გაიმარჯვებს, ძნელი სათქმელია. მსოფლიოში ათზე მეტი ისეთი მხტომელია, რომელთაც ძალუძთ ფინეთში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

● **რაზე ოცნებობთ?**

— შევებრძოლო ვლადიმერ იაშჩენკოს 237 სმ და უფრო მეტი სიმაღლის დაძლევაში. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

7 მაისს, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭო ატარებს

„განთიადელის“ დღეს.

პროგრამაშია ავტო-მოტო-ველო კოლონის სააგიტაციო გადარბენა, ამანათრბენი, შეჯიბრი წვევამდელთა შორის და სხვა სპორტმასობრივი ღონისძიებები.

7 მაისს სპორტული ზეიმი დაიწყება რიყის ტერიტორიაზე 12 საათზე.

8 მაისს გაიმართება ქართული ჭიდაობა რიყის ტერიტორიაზე. დასაწყისი 11 საათზე.

საქართველოს სპორტკომიტეტი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და ვეტერანი ფეხბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს ვახტანგ ქორიძეს მეუღლის

ციცინო გაგუა-ქორიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07672